№ 248 27 ნოემბერი, პარასკევი. 1866—1881 27 ნოემბერი, პარასკევი. № 248

# დროება

ГАЗЕТА „ДРОЭБА“ ИЗДАЕТСЯ ОДИН РАЗ ВЪ НЕДѢЛЮ

РЕДАКЦІЯ

კოლეგიონ პრაზიდენტზე. ა. ფუხარინის ხახლში. ლეონის ქუჩაზე.

ХЕЛИС-ПОЧТА

ფოდეგა თფილისში „დროებისა“ „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროებისა“-ივერიის“ აგენტთან ა. ჭელიაშთან ხალაზე. გაზეთს მეხოკრეთოთოს: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროებისა“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

„დროებისა“ და „ივერიისა“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.
ცალკე { „დროებისა“. . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„ივერიისა“. . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

ГАЗЕТА „ДРОЭБА“ ИЗДАЕТСЯ ОДИН РАЗ ВЪ НЕДѢЛЮ

ГАЗЕТА „ДРОЭБА“ ИЗДАЕТСЯ ОДИН РАЗ ВЪ НЕДѢЛЮ

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. წვრილ ასოებზე 1 ასოზე ნახევარი კაპ. [illegible] ასოზე შეთხუდ. კაპ.

თუ ხუბრობენ ფოთხზე, რედაქციაში გასწერენ და შეფოლენ დასაბეჭდად გაფოგზავნილ წერილებს. დაბეჭდულ წერილს რედაქცია ფოლტეო გვერ დაუბრუნებს ატლარს.

განცხადებანი ფოდეგა ქართულს, რუსულს და ხხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება ფოდეგა „დროებისა“-„ივერიის“ აგენტთან.

ვალეგნომერი „დროებისა“ დიან ნეკ.

## ტელეგრამმა

(„ხალხთა ფორის ტელეგრაფის ხაგენტისა“)

**პეტერბურღი**, 25 ნოემბერს. გაზ. „ნოვოსტში“ იწერებიან, რომ კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის გაუქმება გარდაწყვეტილია. კავკასიის კომიტეტიც გაუქმდება პეტერბურღში.

მომავალ 1882 წლის დადგომამდინ გარდაწყვეტილი იქნება—თუ რა წესი და რიგი მმართველობისა უნდა იქნეს კავკასიაში შემოღებული.

გადაწყვეტილია, აგრეთვე, რომ პიატიგორსკის მაზრა ორად უნდა გაიყოს: საგუთრივ პიატიგორსკისა და ნალჩიკის მაზრებად.

გაზ. „პორიადოკში“ დაბეჭდილია, რომ გუშინ წინ, 23 ნოემბერს სადამოს მეცხრე საათზე გარდაცვლილა პირაგოვი.

**კალკუტტა** (ინდოეთი), 25 ნოემ. ავღანის ემირი ქაბულზე მიდის.

**პეტერბურღი**, 25 ნოემ. დღეს დილის 11 საათზე, სასამართლომ დაიწყო დენ. მროზინსკის, ფურსოვისა და ტეგლევის საქმის განხილვა. სასამართლოს კარები ჩაკეტილია. ნაფიცი მსაჯულები არიან. ბრალდებულთ იცვავენ: სუბასოვიჩი, გერარდი და პასოვერი, ამტკუნებს ბროკურორი მურავიევი. 50 მოწამეა.

## «დროების» ფელეტონი, 27 ნოემ.

### ოქმის დროს მოგზაურობა

#### ოსმალოს საქართველოში.

(გაგრძელება *)

ფოცხოვის ხალხი მშვიდობიანი და შრომის მოყვარე არის; სტუმართ გამასპინძლება სუფევს ამათში განურჩეველად გინდ მაჰმადიანი იყო, გინდ ქრისტიანი. ცხოვრებაც როგორც შეჰფერის გლეხ კაცობას იმნაირი აქვთ. სახნავ-სათესი და საძოვარი ალაგები საქონლისთვის, საკმაო აქვთ, თავიანთი ნაშრომი არ ეკარგებათ უბრალოდ, რადგანაც მარჯვე გზა აქვთ ახალციხეში მოსატანად და გასასყიდლად.

შავშეთ-იმერ-ხევის მოსახლეობაც მოგავს ფოცხოვისას, თუმცა აქ ხანდის-ხან გამოერევა კაცის მცარცავენ და არც იმდენი სახნავ-სათესი აქვთ, რომ თვითონ მაინც ყოფნიდესთ. შავშეთი კი შეუველის თავის თავს და ბევრჯერაც შავშეთიდამ ხორაგი თფილისს იგზავნება გასასყიდელად. ზოგიერთ შავშეთის და იმერ-ხევის სოფლებს, რომელთაც არ აქვთ სახნავ-სათესი, აშენებენ ბაღებს მოსტენებს; სთესენ ბლომად ხახვს და ართოფილს, მოაქვთ ართაანში, და აქ სცვლიან ხორბალზე და პურზე. ამას გარდა მოჰყავთ ჩინებული თუთუნი, რომელიც ბევრჯერ ნამდვილ ტრაპიზონის თუთუნზე უარესი არ არის.

იმერ-ხეველებში და ბევრ ლივანის სოფლებშიაც, სუფევს ერთი რამ ურიგობა, რომელიც გახდენიათ ჩვეულობად. აქ, რაც გინდა ყოჩაღი და გულადი კაცი გამოვიდეს, უბრალო ჯაგლაგი აჭარელი ამას დაახლის პირზე: „შენ რა გელაპარაკო, ერთ დროში, აბანოს თარლაქი (მექისე) ყოფილხარო.“ მართლაც **აქაური** ახალ-გაზდა ყმაწვილი კაცი ცამეტი წლიდგან ვიდრე ოც-ოც-და-სამ წლამდე აბანოში „თარლაქად“ არის. დღესაც ნახავთ ბათუმში, ართაანში, ყარსში, ტრაპიზონში და ყველა ახლო ოსმალოს ქალაქებში, რომ უკეთუ აბანოში „თარლაქია“, ახალგაზდა ან იმერ-ხეველი უნდა იყოს ან შავშელი და ლივანელი, (ართვინის ქვემო სოფლებიდგან).

აჭარელი, გინდ მაჭახელელი ძრიელ შორის-შორს არიან ყველაფრით, როგორც ხასიათით, ისე წესით. ეკონი დაბადებიდამ თოფის დაჭერას და სროლას სწავლობენ, როგორც მტრის დასაშარცხებლად, აგრეთვე თავის „ხასიმის“ ვალის გადასახდელად. „ხასიმი“ სისხლის ძიებაა. ეს ხასიმობა, ანუ მტრობა ერთი-ერთმანეთისა, როგორც ეტყობა, ამათში დიდი-ხნიდამ არის. თუ კი ვისმეს ხასიმი ჰყავს ძრიელ ძნელია იმის ხელიდგან განთავისუფლება, ან უნდა აიყაროს იქიდგან, ან იმის ხელით მოკვდეს. ამათში ის აჯობებს ვინც ბევრნი არიან და ნათესავები და მომხრეები ჰყავთ. მომეტებული ნაწილი „ხასიმობა“ წარმოდგება ქალის გათხოვებიდგან.

ამათში კარგი ეს არის, რომ პირველად შეატყობინებენ ერთმანეთს, მე შენი ხასიმი ვარო.

თუ ვინმეს მძლავრი ხასიმი ჰყავს, აიყოლიებს რამდენიმე თავის ტოლებს და მიდის ტყეში. მაი იმის ბრალი ვინც ამათ შეხვდება და სარჩოს მიცემის გულისთვის ხელს გამოიღებს!

**აი** ერთი ნამდვილი მოთხრობა. ერთს სულიერს ძრიელ ლამაზი ცოლი ჰყავდა; **ოთხი** წლის ნაქორწილევი იყო და შვილიც ესვა. ერთმა

*) ის. „დროებაა“ № 241.

## სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი

„დროების“ მე-240 №-ში იყო დაბეჭდილი სტატია შესახებ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლისა, სტატია, რომელშიაც არის აღწერილი ეხლანდელი უბედური და სამწუხარო მდგომარეობა და გადაწვა ამ სასწავლებლისა. ამას გარდა სტატიაში არის გატარებული აზრი სასწავლებლის გაწყობაზე მომავალში, გაწყობაზე იმ ნაირად, რომ მოელოს ბოლო ამოდენა ხნის განხეთქილებას სამეგრელოს სამღვდელოებას შუა, რომლის გამოც სასწავლებელი იღუპება სრულიად.

რომ არ მივიღოთ სახეში პატარა შეცდომილება, რომელიც ავტორს მოსელია, საქმის დაახლოებით უცოდინლობის გამო, — საზოგადო აზრი სტატიისა არის დიახაც შესანიშნავი და საყურადღებო და ამისთვის, როგორც საქმის დაახლოებით მცოდნე, ვიღებ კალამს, რომ გავასწორო ხსენებული პატარა შეცდომანი და ამასთანავე გავავრცელო „დროების“ აზრი უფრო დაწვრილებით და გარკვევით.

რედაქციის სტატიის აზრით, რადგან სამღვდელოება, როგორც ძველი მონტეკი და ქაპულეტი, ვერ მორიგებულა შესახებ სასწავლებლის ადგილ-ყოფნისა, ამისთვის არ იქმნებოდა ცუდი, რომ მეორე, მესამე და მეოთხე კლასები იყვნენ გადატანილნი სენაკში და მოსამზადებელი და პირველი კლასები კი როგორმე დარჩენ ისევ მარტვილში. შეცდომა ამაში არის ის, რომ თუმცა სასწავლებლის გაყოფა შესაძლებელი არის, მაგრამ ამ ნაირად არ შეიძლება. პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კლასები შეადგენენ ერთ მრთელს და იმათი გაყოფა არას გზით არ შეიძლება. სასწავლებლის პროგრამის საგნები იწყებიან პირველიდამ და მეორეში და შემდეგ კლასებში ერცელდება ის, რაც პირველში დაიწყო. ეგრეთვე რომელიმე საგნის მასწავლებელი პირველში არის იგივე, რომელიც ასწავლის სხვა უმაღლესს კლასებში.

ამისთვის გაშორება, გაცალკევება პირველის კლასისა უმაღლეს კლასიდამ ყოვლად შეუძლებელია.

კლასების გაყოფა ამ ნაირად უნდა მოხდეს: ნორმალური, ესე იგი 1, 2, 3 და 4 კლასები უნდა იყვნენ ერთ ალაგას და მოსამზადებელი კლასები სხვაგან. ეს არის ძალიან ადვილად შესაძლები და ამ შემთხვევაში კიდევაც სასარგებლო.

მოსამზადებელი კლასები სრულებითაც არ შეადგენენ სასულიერო სასწავლებლის აუცილებელს კუთვნილებას. სასწავლებელი შეიძლება იყოს უმოსამზადებელ კლასებოთ, თუ შეგირდები პირდაპირ მომზადებულნი მოვლენ პირველი კლასებისათვის. რადგან სამღვდელოებას არ შეუძლიან სახლში მოამზადოს ბავშვი ისე, რომ შეეძლოს იმას პირდაპირ პირველს კლასში შესვლა, ამისთვის ის, ესე იგი სამღვდელოება, მართავს **თავის ხარჯზე** ამ კლასებს.

მაშასადამე თუ სამღვდელოებას ეხერხება მოამზადოს შაგირდი პირველისათვის სხვაგან სადმე, მოამზადოს და სასწავლებელი მიიღებს იმათ, რადგან ნორმალურს კლასებში შემოდიან არამც თუ მარტო ის ბავშვები, რომელნიც სასწავლებლის მოსამზადებელს კლასში იყვნენ, არამედ ყველანი, ვინც კი ეგზამენიას დაიჭერენ ღირსეულად.

ნორმალური კლასები თავიანთ პროგრამმით და საზოგადო მოწყობილობით არიან ისეთნი, რომ მათთვის საჭიროა, თუ სრულებით არა, რამოდენიმე სამეცნიერო შეწყობა, მაშინ, როდესაც მოსამზადებელს კლასს შეუძლია იყოს და გამოვიდეს ისე, როგორც საზოგადოდ სოფლის სკოლები. მსახურთათვის, მასწავლებელთათვის ნორმალურის კლასებისა საჭიროა, რამოდენადაც შეიძლები, ადვილონ ყური მიმდინარეობას იმ მეცნიერებისას, რომელსაც იგინი ასწავლიან; მოსამზადებელის კლასის მასწავლებლისათვის კი ეს მაგდენად არ არის საჭირო.

აქედამ გამოგვყავს ის დასკვნა, რომ მოსამზადებელი კლასები შეიძლება იყოს სოფელში ან სხვა მიყრუებულს ალაგას და ნორმალური კლასები კი საჭიროებენ ქალაქს და საზოგადოდ მოსახვედრს ალაგს, სადაც შეიძლება მასწავლებელმა ადვილონ თვალ-ყური ყველაფერს და სრულებით არ გამოყრუდეს.

მხლა დავუბრუნდეთ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს. არეულება და მოურიგებლობა, რომელიც არის სამღვდელოებას შუა, სასწავლებლის ადგილ-ყოფის შესახებ, წარმოდგება იქიდამ, **რომ** ერთს დასს

სამღვდელოებისას სურს სასწავლებლის ყოფნა მარტვილს, მეორეს ზუგდიდს და მესამეს სენაკს. რადგან სასწავლებლის სამად გაყოფა ან სამი სასწავლებლის აშენება შეუძლებელია, ამისთვის „დროებისაგან“ წარმოთქმული აზრი ძრიელ მისახვედრია, მხოლოდ საქმე კი უნდა მოხერხდეს ასე:

ეხლა სასწავლებელს აქვს სამი განყოფილება მოსამზადებელი კლასისა და ამათ დასარჩენად სამღვდელოება ჰბოძს წელიწადში 4,500 მანეთამდე. ამ ფულით, რომ ნორმალურ კლასებსაც დარჩეს ყურის-მგდებელისა და სხვა ხარჯისათვის საკმაო ფული, შეიძლება გაკეთდეს ოთხი განყოფილება, ორი მარტვილში და ორი ზუგდიდში სამ-სამი წლის კურსით: პირველ განყოფილებებში ერთი წელიწადი და მეორეებში ორი განყოფილება, დიდი და მცირე, ორის წლის კურსით. დაიხარჯება თითო მოსამზადებელს კლასზე 1,200 მანეთამდე, სულ 2,400 მანეთი. მაშინ მოსამზადებელი კლასები იქმნებიან ორს განაბირებულს ალაგს სამეგრელოისა: მარტვილში და ზუგდიდში და ეისაც სად ეხერხება, იქ წაიყვანოს.

ამ მოსამზადებელს კლასებში თვითეულში იქმნება ორი მასწავლებელი უმფროსი და უმცროსი, რომელთაც, ნორმალური კლასების ზედამხედველის და მისი თანაშემწის ხანდისხან დახედვით, შეუძლიანთ საქმე კარგად წაიყვანონ. წლის თავში ზედამხედველი და თანაშემწე მივლენ ალაგობრივ და მიიღებენ შეგირდებს და წლის ბოლოს კიდევ უზამენ ეგზამენს და გადმოიყვანენ ნორმალურს კლასებში, ვინც კი ღირსი იქმნება.

თუ საქმე ამ ნაირად მოეწყო, მაშინ ნორმალურ კლასებისათვის პირველი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს პედაგოგიურის და ცხოვრებით მოხერხებას. შაგიოდები იმას ეყოლება მომზადებული, წამოზრდილი და ამისთვის შეეძლება წაიყვანოს თავისი საქმე უფრო კარგად, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნაირად მოწყობილი სასწავლებელი იქნება თავისი ღირსებით ყველა სასწავლებელზე უკეთესი.

აქ მისაღებია სახეში მხოლოდ ის, რომ შეიძლება როშელსამე მამას ჰყავდეს ორი შვილი—ერთი ნორმალურს სასწავლებელში და მეორე მოსამზადებელში და ამის გამო ორ ალაგას ეყოლება შვილი. მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევა იქნება და საზოგადო საქმეში არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ ორიოდ პირის ინტერესით.

ს. ხელაშვილი.

## ახალი ამბები.

ჩვენ მივიღეთ ბ-ნი ზ. ბრიქუროვის წიგნის მაღაზიისაგან ახლად გამოცემული ქართული სახელმძღვანელო წიგნი „**სამღვთო ისტორია ძველისა და ახალის აღთქმისა**“.

წიგნი იმ წესზე და პროგრამმაზეა შედგენილი, როგორც საზოგადოდ ამ გვარი სახელმძღვანელოები იდგინებიან რუსულს ენაზე. განსაკუთრებით მრგვეწონა ჩვენ მსუბუქი, ადვილად გასაგები ენა წიგნისა.

ბამოცემა გვარიანია, არც ფასია ძვირი (ეგზ. ორი აბაზი), მხოლოდ სურათები ცოტა არ იყოს კოჭლობს.

***

ჩვენი პატივცემული თანამშრომელი ბ-ნი ძაიხოსრო ბელოვანი გვთხოვს დავბეჭდოთ გაზეთში შემდეგი იმის წერილი:

„ალმოჩდნენ ზოგიერთი ისეთი პირები, რომლებიც სრულიად უსამართლოდ ითვისებენ ზოგიერთ იმ სტატიების ავტორობას, რომლებსაც ქვემოდ ფსევდონიმები აწერია. ამისთანა ხვედრი ერთ ჩემ ნაწერსაც ხვდა. ამისათვის გთხოვთ უმორჩილესად, ჭეშმარიტების აღსადგენელად, გამოაცხადოთ, რომ „დროების“ 185 №-ში დაბეჭდილი სტატია („ძუთაისში გაზეთის გამოცემის გამო“), რომელსაც ქვემოდ აწერია „ძართველი მკითხველი“, მე მეკუთვნის.“

მაცხადებთ და ვამტკიცებთ.

***

ახალ-ქალაქიდამ გვწერენ, რომ ამას წინად იქ ერთს გლეხის ქორწილში ჩხუბი მოხდარა და ერთს მაჩხუბართაგანს სამი კაცი დაუჭრია დანით. პოლიციისათვის შეუტყობინებიათ და ამოსულა; მაგრამ ერთი კვირა გადისო და დღემდინ არც ექიმი მოსულა არც გამომეძიებელიო, თუმცა იმათაც იმ წამსვე აცნობესო.

***

ბორის მაზრის სოფ. ალიდამ გვწერენ:

ალის სოფლის საზოგადოებას არ გაუჭირდება სასწავლებლის შენახვა, რადგან ეს სოფელი თავის კვალობაზედ არც ერთს სხვა სოფელს არ ჩამორჩება არც მცხოვრებლებით და არც სიმდიდრით. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ მოთავე და საქმის გამჩარხველი არავინ აღმოჩნდა.

„სოფ. ალი, როგორც ახლად დარჩენილ ძველ შენობებიდამ სჩანს, ნაქალაქევია; შიგ შუა სოფელში არის მშვენიერი ქვითკირის ეკკლესია, ახლად შეკეთებული ადგილობრივ მღვდლის მაჭაროვისაგან; სომეხთ ბრიგორიანის სამი მშვენიერი ეკკლესია, ძველი ქვითკირის ნასახლარები და ნაეკკლესიარები.

„ბევრს ადგილას სახნავ მიწებში პოულობენ ხვნის დროს ქვევრებს და სხვ. ძველ ნივთებს. ამას წინეთ ერთს მეწისქვილეს ეპოვნა ციხესთან ერთი ქოთანი თეთრი ფული, ნიალვრით ჩამოეჭამა მიწა და გამოჩენილიყო. ამ ძველმა ფულებმა გაახარეს ურიები, რადგან ადგილობრივმა მამასახლისებმა ყურადღება არ მიაქციეს.“

## „დროების“ კორესპონდენცია

**სურამი**, 21 ნოემბერს. მოუთმენლად მოელოდა ყველა სოფლის საზოგადოება არჩევას სოფლის მოხელეებისას, რადგანაც ბევრი საზოგადოების მოსამართლეებისაგან ბოროტ—მოქმედებას ჩადიოდნენ და ზედამხედველი, ყურის მგდებელი და ანგარიშის მომთხოვი კი არავინ ჩნდებოდა არც საზოგადოების მხრიდგან და არც უმაღლეს მთავრობიდგან. მართალია, საზოგადოებას სრული ნება აქვს მუდამ ჟამს ანგარიშის მოთხოვისა, მაგრამ, რადგანაც ჩვენში თანხმობა არ არის, ამიტომ ერცელდება თან-და-თან ბოროტ-მოქმედება სოფლის მამასახლისებისა და მოსამართლეებისაგან.

წელს მთელს თფილისის გუბერნიაში მოხდა სულ ახალი სოფლის მოხელეების არჩევანი; მაგრამ ბევრი საზოგადოება ვერ ეწია თავის საწადელს სხვა და სხვა მიზეზებითა: ზოგან გამოერიენენ ადგილობრივ მცხოვრები თზვად-აზნაურნი და ადმინისტრაცია და ჩვენს სურამში კი ადგილობრივის სომხების მღვდელი დეკანოზი არუწოვი და პოლიციის პრისტავი დეკანოზოვი, ისე რომ საზოგადოებისაგან მომზადებული აზრი და ამორჩეული პირები შეუცვალეს.

კანონია, რომ, ვინც არ ეკუთვნის სოფლის საზოგადოებასა, იმათ არა აქვთ უფლება ყრილობაში გარევისა, ე. ი. არც თავადთ და არც აზნაურთ, არც მღვდელთ და არც თვით პოლიციას (ადმინისტრაცია ზედამხედველია, რომ კანონიერად მოხდეს ყრილობა და არჩევანი): მაგრამ სად არის გაგონება! ძართული ანდაზაა: მგლის თავზე სახარებას ჰკითხულობდნენო.

აქ, სურამში, მოხდა არჩევანი სოფლის მოსამართლეებისა სექტემბერში; მთელმა საზოგადოებამ სურამისამ 170 კაციდამ ერთ-ხმად დაიძახეს 166 კაცმა და გაუთეთრეს კენჭი სურამის მამასახლისად სააკ აწუროვს; ადრინდელ მამასახლისზედ ბატონს-აკოფოვზე კი გამოაცხადა ყველამ უარი. ბატ. აკოფოვმა რომ ნახა, ამას თავის სურვილი არ უსრულდებოდა, მეზობელმა ამის ცოლზე თვალი დაიჭირა, შეიმწყრია სადღაც თითონ ეს კაცი, მარტოკა, და მოჰკლა სიკვდილის შემდეგ, იმან განსვენებულის ცოლი შეირთო და გულის ნებას ეწია. როცა გერი შვილი რვა წლის გახდა დედა მისმა ჩააგონა, რომ შენი მამა მაგან მოკლაო. ერთ დღეს ეს კაცი თევზის დასაჭერად წავიდა და შვილობილიც თან წაიყვანა, ხანჯალ, დამბაჩას და ტანისამოსსუზიდავდა, რომ არ დასველებოდა. ამ ბიჭმა შენიშნა რომ ტამბაჩა გატენილია; როდესაც მეთევზემ ბადე გამოსწია და კალთებს უშინჯავს და, ბიჭმა შიგ კეფაში დაახალა დამბაჩა და იქვე სული გააგდებინა. როდესაც ბაღშს ჰკითხეს, რად მოჰკალიო? უპასუხა: „აბა ხინზირმა ბაბაი რად მომიკლაო?!“

ოსმალოს მთავრობა ძრიელ ცდილობდა ეს წესი ამოეფხრო, მაგრამ ცდამ უბრალოდ ჩაიარა და ვერა გაარიგა-რა. ორთა-შუა რიცხვით, რომ ვიანგარიშოთ, აჭარაში, მაჭახელში და ლაზისტანში წელიწადში, სამასი კაცი მეტი მოკვდება.

—

ართანუჯს ჩამოუდის ორი პატარა მდინარე, პირველი აღმოსავლეთ-სამხრეთიდგან და მეორე სამხრეთ-დასავლეთიდგან. ჩვენ ამ მეორე წყალს შევყევით. მდინარის ხეობა სულ კლდოვანია; წყლის გალმა-გამოლმით ბალღებია, რამდენიმე წისქვილებიც ავიარეთ. ბამოჩნდა მშვენიერი ადგილები, ბევრი სოფლები, თიეები გათიბული და ქერის ყანებიც ნამგალს თავს უქნევდნენ. ყველა სოფლებს ბალღები ჰქონდა. ეს დღე გახლდათ თიბათვის ცხრა.

ჩვენ წაველით პირ-და-პირ დასავლეთისკენ, ტალახეთის მაღლობზე; საღამო ჟამს მიველით იმ ალაგას, სადაც ბატალიონი იდგა და ორმოცდა-ათამდე საწყალი ოსები. ეს მაღლობი მშვენიერი ბალახიანი კორდია, ტყეც ახლოა, წყალიც, ჰაერიც კარგი, ერთის სიტყვით, თვალია ართანუჯის მაზრისა. თუმცა ნამდვილი ქალაქის გაშენების ადგილი აქ ყოფილა. მაგრამ იმ ნაირ გვერდობაზე და მაღალ კლდეზე იმისთვის არის გაშენებული, ეტყობა, რომ ომიანობის დროს ყველას თავი შეეფარებინათ, რადგან ართანუჯს გარშემო კედელი აქვს შემოვლებული და შეუვალი გზა. იქ ღამეს იქ გავათიეთ.

დილით ადრე ოც-და-ხუთ ცხენოსნით და თან ყოლაუზით (გზის მასწავლებელი) გავემგზავრეთ სამხრეთისკენ. ბარდავიარეთ დიდი ალმართი: შუა დღისას მივახლოვდით ს. სალაჩურს. აქ ბუნებას სულ სხვა თვისება აქვს: ხე თვალით არ მოჩანდა, წინ ალმოსავლეთ-სამხრეთისკენ გამოგვიჩნდა თვალ-გადაუწვდენელი მინდვრები და ტიტველი ღელე-გორაკები, რომელიც ეკუთვნოდა ყარსის მაზრას.

ლეებისას, რადგანაც ბევრი საზოგადოების მოსამართლეებისაგან ბოროტ—მოქმედებას ჩადიოდნენ და ზედამხედველი, ყურის მგდებელი და ანგარიშის მომთხოვი კი არავინ ჩნდებოდა არც საზოგადოების მხრიდგან და არც უმაღლეს მთავრობიდგან. მართალია, საზოგადოებას სრული ნება აქვს მუდამ ჟამს ანგარიშის მოთხოვისა, მაგრამ, რადგანაც ჩვენში თანხმობა არ არის, ამიტომ ერცელდება თან-და-თან ბოროტ-მოქმედება სოფლის მამასახლისებისა და მოსამართლეებისაგან.

წელს მთელს თფილისის გუბერნიაში მოხდა სულ ახალი სოფლის მოხელეების არჩევანი; მაგრამ ბევრი საზოგადოება ვერ ეწია თავის საწადელს სხვა და სხვა მიზეზებითა: ზოგან გამოერიენენ ადგილობრივ მცხოვრები თზვად-აზნაურნი და ადმინისტრაცია და ჩვენს სურამში კი ადგილობრივის სომხების მღვდელი დეკანოზი არუწოვი და პოლიციის პრისტავი დეკანოზოვი, ისე რომ საზოგადოებისაგან მომზადებული აზრი და ამორჩეული პირები შეუცვალეს.

კანონია, რომ, ვინც არ ეკუთვნის სოფლის საზოგადოებასა, იმათ არა აქვთ უფლება ყრილობაში გარევისა, ე. ი. არც თავადთ და არც აზნაურთ, არც მღვდელთ და არც თვით პოლიციას (ადმინისტრაცია ზედამხედველია, რომ კანონიერად მოხდეს ყრილობა და არჩევანი): მაგრამ სად არის გაგონება! ძართული ანდაზაა: მგლის თავზე სახარებას ჰკითხულობდნენო.

აქ, სურამში, მოხდა არჩევანი სოფლის მოსამართლეებისა სექტემბერში; მთელმა საზოგადოებამ სურამისამ 170 კაციდამ ერთ-ხმად დაიძახეს 166 კაცმა და გაუთეთრეს კენჭი სურამის მამასახლისად სააკ აწუროვს; ადრინდელ მამასახლისზედ ბატონს-აკოფოვზე კი გამოაცხადა ყველამ უარი. ბატ. აკოფოვმა რომ ნახა, ამას თავის სურვილი არ უსრულდებოდა,

საღამო ჟამს მიველით სოფ. ძივის ფაილაზე (მთა, სადაც ზაფხულში საქონელს აძოვებენ თათრულად „ფაილა“ ჰქვიან, ჩვენებურად „იაილაღი“). ძიველები ჯერ არ ამოსულიყვნენ, რადგან ძრიელ ცივოდა. სათიბი ბევრი, მშვენიერი ცივი წყაროებიც ამტკიცებდნენ, რომ ზაფხულში აქ კარგი საცხოვრებელია. ძარგა მანძილზე ქვეითკენ კლდეებში მოჩანდა სოფელიც ძივი. მამასახლისი დაეიბარეთ და იმ ღამეს ფაილაზე დაერჩით, მათი სტუმრები ვიყავით.

მეორე დღეს დილით გავემგზავრეთ ს. მალაქზე. ს. მალაქის შემდეგ გზები თან-და-თან ვიწროვდებოდა; გამოგვიჩნდა ტიტველ-კლდიანი გორა; გორის გადაღმა სწორედ ქვეყნიერი ჯოჯოხეთის გზა დაგვხვდა. აქედგანვე იწყობა ტყე და თან-და-თან ხშირდება; ზოგან ხილის ხეებიც შეგვხვდა; მაგრამ, თუ კი კაცს ფეხი აუცდა გზიდგან, ამ ქვეყანას უნდა გამოეთ-

თითონვე გამოაცხადა უარი მამასახლისობის თანამდებობისა.

ამ დროს შეიქნა ხმაურობა ყრილობაში, რომ ახლავე ამოირჩიონ ანგარიშის მომთხოვი კაცები, რომ ძველს მამასახლისს მოსთხოვონ ანგარიში თავის მამასახლისობის ნაწარმოების საქმეებისა.

ეს გარემოება ბ. აკოფოვს არ ეჭაშნიკა და შეუდგა ცდასა, რომ როგორმე ხელ-მეორედ ამოარჩევინოს თავი საზოგადოებას; მოაგონა თავის ამაგები ბატონ პოლიციის პრისტავს და დაჰპირდა უკვეთეს სამსახურსა შემდეგისთვინ, თუ როგორმე მოახერხებს ამ ნაფიც არჩევნის ფურცლის გაუქმებას. რასაკვირველია, პრისტავსაც არ უნდა გამოუცდელის მამასახლისის დაყენება, რადგან თითონ ბევრი ნაწილი სურამში არ იპოვება და იმის თანამდებობას ახალი, იმის აზრით, ისე ვერ აასრულებდა, როგორც ორჯელ ნადგომი გამოცდილი მამასახლისი აკოფოვი.

უცებ ბ. პრისტავმა მოძებნა მაზრის უფროსი და ამასთანავე იპოვნა კანონი, რომ რადგან ორი-მესამედი ნაწილი არ იყო ყრილობისაო, უნდა გაუქმდესო. მაზრის უმფროსმაც თხოვნა შეუსრულა და გაუქმა პირველი არჩევნის ფიცის ფურცელი. მამასახლისი აკოფოვი ეწია თავის გულის წადილსა და შეუდგა ახალი არჩევნისათვის ხალხის ფერაობას, დაჰპირდა შემდეგისათვინ სხვა-და-სხვა შემწეობას, მიიმხრო დეკანოზი ორუწოვი, რათა იმან უქადაგოს მრევლსა, რომ ისევ აკოფოვი იყვეს მამასახლისად.

მოხდა ახალი ყრილობა ამ ნოემბრის 7-ს: მღვდელმა ქადაგება აუწყო ხალხსა, მამასახლისმა ხვეწნა და სხვა და სხვა შემწეობის მიცემა საზოგადოებისთვის, თუ იგი იქნება ისევ ამორჩეული. თუ ვინმე თხოვნაზე და ქადაგებაზე უარს გამოაცხადებდა ძველ მამასახლისის არჩევაზედ, მაშინ ბ. პრისტავი მიუბრუნდებოდა, შეუტევდა და დაუწყებდა მუქარებას, რომ ძველად ნადგომი მამასახლისისთანას ვერავის ვერ ამოირჩევენ. ძენჭის ჩაგდების დროს პირველად ეუბნებოდა ხალხს:—აი ეს არის იაკოფ აკოფოვის ყუთი! და ძალა-უნებურად აგდებდნენ აკოფოვის კენჭის ყუთში. და ამ სახით წინად მოსული ორუწოვის 166 თეთრი კენჭი მეორე არჩევანზე 35 მეტი არ გამოვიდა.

აი ამ ნაირი მოქმედებით და ოსტატობით წინად ამორჩეული ორუწოვი გადააყენეს და ძველად ორჯერ ნადგომი მამასახლისი აკოფოვი მესამეთ ძალის-ძალობით დააყენეს.

ჯოჯარაძე.

## წერილები რედაქტორთან

—

ბ-ნო რედაქტორო! თქვენ პატივცემულს გაზეთში, 242 №-ში, სწერია აქაური ფოშტის უფროსები ვინც კი ადრე ყოფილან, ყველანი მე დავავიწყე, რომ კორრესპონდენციების მიღებაში ხალხს ფეხები სწყდებათ და ცხენების მიღებაზედ პასაჟირებს ვაწვალებ. ველა ეს მოხსენება გახლავთ სიცრუე და ცილის წამება უსახელო ავტორისა, თორემ ერთს მაინც დამისახელებდა—ვინ გავაწვალე, ან ცხენები ვის არ მივეცი. მართალია, ტყუილს ადვოკატს არ მივეცი ცხენები, რადგანაც არც პადაროჟნა ჰქონდა და არც სიმართლე ცხენების წაყვანისა თავის სოფელში; მაგრამ ამით მე არამც თუ წესიერება დავიცავი იგი რომელ გულისათვისაც ეს სიცრუე გამოუგონია. იმოდენა ლონისძიება არა მაქვს, რომ ჩემი მოვალეობა და ყველა ხალხის სურვილი ერთს-და-იმავე დროს შევასრულო მით უმეტეს, იმისთანა უკანონო მოთხოვნილება, როგორც ზემოხსენებულ კორრესპონდენტისა.

ხაშურის ფოჩტის სტანციის უმფროსი

ნიკ. ხოჯაია.

25 ნოემბერს.

# უცხოეთი

(გაზეთებიდან)

**საფრანგეთი.** 23 ნოემბერს საფრანგეთის განათლების მინისტრს პოლ ბერს გამოეცხადენ რამდენიმე უწყებათა წარმომადგენელნი, რომელნიც მას ექვემდებარებიან. პოლ ბერმა, სხვათაშორის უთხრა მათ:

„მე მაკვირვებს ის განსხვავება, რომელიც დღემდი სუფევს ვაჟებისა და ქალების განათლების სისტემაში. მის მაგივრად, რომ ერი ამ შემთხვევაში ისე მოიქცეს, როგორც ოჯახის დედა ექცევა თავის შვილს,—ე. ი. ვაჟს ქალისაგან არ არჩევს, ის, ერი, სულ სხვა რიგად ზრდის ქალსა და ვაჟსა. რაღაც სრულიად უსაფუძვლო მოსაზრებით, საუკეთესო სასკოლო კუთვნილებანი ჯერ ყოველთვის ვაჟებს ეძლევათ ხოლმე და ქალები კი დანარჩენით სარგებლობენ. მე გულითად თანაუგრძნობ შემდეგ აზრს: როდესაც ვასწავლით ვაჟს, ვასწავლით ხოლმე ერთ კაცს, და ქალს რომ ვასწავლით, ვასწავლით მთელს ოჯახს.“

მინისტიკურ საზოგადოების დეპუტაციას პოლ ბერმა შემდეგის სიტყვებით მიმართა: სამხედრო განათლება საფრანგეთის ახალგაზდებისა ჩემთვის შეადგენს ერთ უმთავრეს საგანს. იმ განათლების შორის ერთის მხრით, რომელიც აღვიძებს მოქალაქეებში წყურვილს მედიდურის ცხოვრებისადმი, გრძნობას თავის დაცვისას, გრძნობას დამოუკიდებლობისას და რომელიც ალიარებინებს მათ თავიანთ მოქალაქობრივს უფლებასა და მეორეს მხრით, ერის მოთხოვნილებასა შორის, რომელიც ითხოვს ჩვენგან თავ-განწირულებას და დისციპლინას, არსებობის ერთ გვარი-განსხვავება, შურიც, რომლის აცილება არ შეიძლება, თუ სკოლიდამვე არ შევუდეგით ამას, სამოქალაქო და სამხედრო განათლების მკვიდრად შეკავშირებით.

შემდეგ პოლ ბერმა პარიჟის უმაღლეს სასწავლებელთ წარმომადგენელთ უთხრა: „თუმცა მე თითონ არა ვარ კმაყოფილი ეხლანდელი განათლების მდინარეობისა, მაგრამ უსაჭიროესად ვაღვიარე, რომ წინ გარბენა არ გვარგებს და სასარგებლოა ჯერ ამაზედვე დამკვიდრება საფუძვლიანად, რაზედაც ვდგევართ, რომ ერში განვლენიანი, გადამწყვეტი ხმა გვექნეს. მოუთმენლობა მოსისხლე მტერია ყოველ ვვარი რეფორმებისა...“

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დიღის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალეკი და ლისიტვი—შინაგან ავათმყოფობისა; ჭელდიში სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—სირურგიული ავათმყოფობისა; ლისიტვი—შინაგან ავათმყოფობისა; ჭელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიტვი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; ჭელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტ ავათმყოფობისა.

---

ხოვოს. სოფ. ხოდი მარჯვნივ დავსტოვეთ და ჩვენ კიდევ დასავლეთისკენ წაველით. თვითონ სოფ. ხოდი ხუთ უბნიდგან შესდგება, თითო უბანი მეორეზე ორ-ორი ვერსის მოშორებითაა, ზოგი ღელის თავზე, ზოგი კლდის ძირში. ეს ადგილები ლივანის მაზრაა ანუ ართვინისა. ქარვატყეში სიარულის შემდეგ გამოგვეჩინდა საშინელი თავ-დალმართი და მდ. ჭოროხი.

ართანუჯიდან დასავლეთისკენ მიდის გზა ართვინზე. ვიდრე ოთხ ვერსს გავსცილდებით, ძალიან ვიწრო ბილიკი გზა აქვს, სულ კლდიანი და ალმართ-დალმართიანი; შემდეგ ართანუჯის წყალს გახვალთ და დაადგებით სახელმწიფო გაჭრილ გზაზე. აქ მეორე გზაც არის: ართანუჯიდამ ისევ უკან მიდის ერთ ვერსამდე და შემდეგ ჩრდილოეთისკენ ალმართია ვიდრე ს. ბაცამდე. ბაცა მარჯვნივ დაგვრჩება და დასავლეთისკენ წავა გზა, საიდამაც იწყობა სწორი სახელმწიფო გზა.

ართანუჯიდგან მეცხრე ვერსზე, შავშეთ-იმერხევის წყალზე, გაკეთებულია ქვითკირის ხიდი, და იქიდგან შეყოლება ჩრდილოეთით იწყობა ბერთის ხეობა; ბევრნი ამ ხიდსაც ბერთის ხიდს უძ-ხიან.

ს. ბერთა ანუ გვერდა შესანიშნავია მთელ ლივანაში თავის ვენახებით; აქ ძალიან კარგი ყურძენი იცის, ქახეთის ყურძენს არ დაუვარდება. ხალხს ყურძენი მომეტებული გასასყიდად მიაქვთ ართანუჯში, რადგან ახლა ართანუჯის სომხები ღვინოსაც აყენამენ.

ბერთის ხიდიდგან ორ ვერსს იქით, მარჯვნივ, ცაში მოჩანს ს. ოლოლისხანა. ალმართი ერთ ვერსზე მეტია, მაგრამ თუ ვინმე აივიდა კმაყოფილი გახდება; აქ არის რომელიმე ათაბაგის ძველი ნაშთი ეკლესიისა. ოლოლის-ხანის ეკლესია შესანიშნავია მით, რომ ეკლესიის მახლობლად დღესაც ნახავთ მშვენიერად მოწყობილ ოთახებს სასწავლებლისათვის, ორ რიგად გაყოფილს, ეტყობა ვაჟებისა ცალკე ყოფილა და ქალებისა ცალკე. დასაჯდომი ალაგები სკოლაში სკამებიანთ ნათალი ქვით აქვთ გაკეთებული. მე თვითან ბევრჯერ ვყოფილვარ საფარის და ზორზმის მონასტრებში (ახალციხის მაზრაში), მაგრამ ამ რიგად არ აქვს არც ერთს.

მეთოთხმეტე ვერსზე მოსახვევი აქვს; ამ ალაგს „ხარხამს“ ეძახიან; როცა ართვინის ვაჭრები გაიელიან აქ, ყოველთვინ შიში აქვთ, რადგან პირველი მარჯვე ალაგია ყაჩაღებისათვის. გზის ქვემოდ, ართანუჯის წყალზე, მიჩანს დანგრეული ხის ხიდი, „ფაშის ხიდს“ ეძახიან, და აქვე პატარა სოფელია ბოგორდო. ხარხამიდან ოთხს ვერსსზე, გზაზვევ, ხანია გაკეთებული და მშვენიერი წყარო; იმ ალაგს „წყალ-ოქროს“ ეძახიან. რამდენიმე ვერსის შემდეგ მიხვალთ ს. ოლგომს. ოლგომი ორ უბნად არის გაყოფილი; გზის ზემოდ პატარა უბანი, რამდენიმე კომლი ცხოვრობს და მეორე გზის ქვემოდ ჭოროხის პირზე აქ ძლიერ ბევრი ბაღებია, აგრეთვე ვენახებიც; სხვა გვარი ხილიც ბევრია მაგ. ხურმა, ბროწეული, ლელვი, წაბლი, ნუში და სხვ.; ზეთის ხილს პირველი ალაგი უჭირავს მთელ ლივანაში. სოფლის ზემო უბნიდგანვე სჩანს ქ. ართვინი. თავდალმართს „ცირხ ტოლანმაჯ“ ჰქვიან (ორმოც მისახვევ-მოსახვევი). თავდალმართის ძირძე პატარა სოფელია—ლომაშენი აქედგან ვერს ნახევარზე—ხიდს თავზე გადმოსცქერის ძველი ციხე და კიდევ ორი ვერსის შემდეგ მიხვალთ ართვინსაც.

(გაგრძელება)

**ხუთშაბათს.** ლისიტეკი—შინაგან საკითხოებისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული საკითხოებისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების საკითხოებისა; ბაბაევი—ძარღვების საკითხოებისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — სირურგიული საკითხოებისა; ლისიტეკი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან საკითხოებისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული საკითხოებისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების საკითხოებისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის საკითხოებისა.

**შაბათს.** ლისიტეკი—შინაგან საკითხოებისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული საკითხოებისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების საკითხოებისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის საკითხოებისა.

# განცხადებანი

**ქუთაისის სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოების გამგებელი კომიტეტი** პატივის ცემით აცნობებს ამა საზოგადოების წევრთა, რომ **ამ თვის 11-და ცხრას, შაბათს დღეს, დელის თერთმეტს საათზედ,** ქუთაისის საადგილმამულო ბანკის ზალაში, დანიშნულია ამ საზოგადოების ჩვეულებრივი საყოველთაო კრება და სთხოეს, ვინც კი ამ საზოგადოების წევრი არის, აგრეთვე იმათაც, ვისაც სურს ამ საზოგადოებაში ჩაეწეროს, მობრძანდნენ დანიშნულ კრებაზე მონაწილეობის მისაღებად. საზოგადო კრებას აქვს შემდეგი საქმეები;

1) განიხილოს საზოგადოების ხაზინადრისაგან შედგენილი წლიური ანგარიში.

2) მოისმინოს მოხსენება საზოგადოების მოქმედებაზედ წასრულის წლის განმავლობაში.

3) განსაჯოს ყოველივე წინადადება, იმ საგანზედ, თუ როგორ შეიძლება საზოგადოების საქმის უკედ წაძღოლა.

4) განიხილოს გამგებელის კომიტეტის წინადადება საზოგადოების წეს-დების შეცვლისა და დამატებაზედ.

და 5) აღირჩიოს გამგებელი კომიტეტის და სარევიზიო კომმისიის წევრები. (2—1)

---

**ბრიქსტონის წიგნის მაღაზიაში** (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

**წითელი ფარანი**, ფასი 15 კ.
**ხატაური** — — — 10 კ.

---

**მცოდნე ბულგალტერიისა** ეძებს ადგილს მარტო საღამოობით, 4 საათიდამ. **ადრესი:** ამაღლების ქუჩა, ჯანყულოვის სახლი, როტინოვის სადგომი, № 6. (3—1)

---

**ჩაის მცოდნე ჰირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, ჰირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადარონ ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ეგელგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტეკიოთ.** (100—83)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ ჰირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფეებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ჯოგზებისა, ჩაინიგებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, სპეზნისა, შჩო კებისა, ცხვირ-სახოტისა, ქალალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩინი ზეთისა) და სხვ. საუკეთესო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ხელქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანას გიარები. (100—46)

---

**თექვსმეტ ოქტომბრიდამ ჩემს ხელში**

**გადმოვიდა ცენტრალური**

# სასტუმრო,

**რომელიც არის მიხაილოვის ხიდის ეურში, კარანტოვის შეგლის ჰირ და ჰირ, ლიხათინსკისა და ნარიმანოვის სახლებში. სასტუმრო არის ჩინებლად მოართული, აქვს საკმაო რიცხვი ნომრებისა ფასად მანეთიდამ 5 მანეთამდე. ბუფეტისა და მოსამსახურისა ეგელანი კმაყოფილნი იქმნებიან. სრული იმედი მაქვს, რომ თბილისის პატივცემული საზოგადოება საჭიროებისამებრ მომართავს ჩემ სასტუმროს, რომელიც მის და სასიამოვნოდ ეგელაფერით შემამკია და უსათუოდ მისს ეურადღებას დაიმსახურებს**

**სადილი და ვახშამი მსურველთ შეუძლიან მიირთვან კარიგებისამებრ ეოველ-დღეობით ან თვეობით ძრიელ ხელ-მისაცემ ფასად.**

**სასტუმროს გამგე**

(15—11) **ლევან ულახელაშვილი.**

---

**მოწვობა**

**მოწვობა ესე მიეცემის თფილისის გუბერნიის საქმეთა განყოფილებიდამ თფილისის მეორე გილდიის ვაჭარს სამსონ მიხაილის-ძის მღებროვს, რომ ბროკანსიის ზეთი, რომელიც მზადდება მის ქარხანაში მედიკურის გამოკვლევის შემდეგ, აღმოჩნდა კარგის სარისხისა, რასაც ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით ვამტკიცებთ ენკენისთვის 11-ს 1881 წელსა ქ. თფილისი. თფილისის გუბერნიის ექიმისს თანამდებობის ადმასულებელი სტატსკი სოვეტნიკი.**

**ვ. კარპოვიჩი.**

**ამასთანავე ვაცხადებ,** რომ მე თითონ ბასუხს ვუგებ ჩემი ქარხნის ზეთის სიკარგეში იმ ბირთ, რომელნიც მას იყიდიან ბირ და ბირ ქარხანაში, ანუ სადგთისაზარში № 11, სადაც ისყიდება კერძოდ ჩემი ფირმის ზეთი.

**კოპტონი.**

**აჭამეთ თქვენ საქონელს ჩემი ქარხნისა, რომ ათ დღეში შესანინაკად გაგიხუმდეთ; საქონელი ფუთი ათი მაური ეოველ კამისიას მტკიცედ და მსწრაფლად გასრულებ. ერევნის ქუჩაზედ, ჩემს საკუთარ მამულში.** (5—4)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება: ბარესინა** 40 კაპ. დაწყებული; **სტაქნები, ბაკლები** 10 კაპ—დამ; **პადნოსები** 5 კ.—დამ, **მურაბა** და **ალბომები** ნახევარ ფასად და სხვ. (100—37)

---

# თფ. ქალაქისგა აგეოგისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 4 ქრისტეშობისთვეს, შუადღეზე, გამგეობის თანა-დასწრებით, დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) შემდეგ საშენებელ მუშაობაზედ.**

**1) უნდა გათავდეს მნაცაკანის ხიდის მარცხენა ბურჯის მუშაობა.**

**2) უნდა დაფეინოს ფიცრები, საზოგადოდ გათავდეს ხის მუშაობა ამავე ხიდისა.**

**და 3) უნდა გაკეთდეს ამ ხიდიდამ ავლაბარზე ასასვლელი გზა (მიწის მუშაობა და მოკირწყვლა).**

**პროექტები, სმეტა და პირობანი ამ მუშაობისა მსურველს შეუძლიან ნახოს ქალაქის გამგეობის კანცელარიაში მუდამ დღე დილის 11 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ უქმ დღეებს გარდა.**

**ვაჭრობა შეიძლება ან თითოეულ ამ ზემოხსენებულ საგანზე ცალ-ცალკე და ან ყველაზე ერთად.** (3—1)

---

**ი. მურადოვის**

**წიგნის მაღაზიაში**

# ქუთაისში

**მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად საეკლესიო და საქალაქო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რეეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.**

**ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ ასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.**

(50—21)

---

# ისყიდება

**25% ნაკლებ მინამ სხვა ადგილს ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიგები, სუდოკები, ფოდნოსები, ჰირის-საბანი, კლიტეები, სამეურველი, ტანისამოსის საკიდი, ჯოგზები, დანები, კალმები, ქალალდი, კანვერტები, რეეულები, კარანდაშები, თოფეები, რევოლვერები, კრაგები, ბალაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, ჰირისახოტი, ცხვირის-სახოტი, ხელქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ტიტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, ბორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი გაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

**თოფეები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ხანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.**

**ეველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.**

(100—38)

---

**ინგლისის მაღაზიაში**

**არწრუნის გალლერეიაში**

(*Maison de confiance*)

| | | | |
|---|---|---|---|
| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ეველგან | |
| — — 1 მ. | 10 კაპ. | — 1 მ. | 40 კაპ. |
| — — 1 „ | 20 „ | — 1 „ | 60 კაპ. |
| — — 1 „ | 40 „ | — 1 „ | 90 კაპ. |
| — — 1 „ | 60 „ | — 2 „ | 20 კაპ. |
| — — 1 „ | 80 „ | — 2 „ | 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | | — 3 მანეთ. | |

**ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით.** (100—62)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Ноября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი